საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

ფრინველის დაავადებები

(რეკომენდაციები)

თბილისი
2022

UDC უაკ . 619:616.51636.5

კ - 889

ავტორები:

კორნელი კუკულავა - ვეტერინარი ექიმი;

ზემფირა ოყროშიძე - ვეტერინარი ექიმი;

შადიმან ფოცხვერია - ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი:

თენგიზ ყურაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსმმა აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“.

ISBN 978-9941-8-4129-3

სარჩევი

ა) ვირუსული დაავადებები:

1. ნიუკასლის დაავადება (ცრუ ჭირი, აზიური ჭირი);
2. ინფექციური ბრონქიტი;
3. ინფექციური
4. მარეკი;
5. ენცეფალომიელიტი;
6. ფრინველის გრიპი;
7. კვერცხმდებლობის შემცირების სინდრომი;
8. ინფექციური ლარინგოტრახეიტი;
9. ფრინველის ლეიკოზი;
10. ყვავილ დიფტერიტი;
11. ქათმის ინფექციური ანემია;
12. ჩანართსხეულოვანი ჰეპატიტი;
13. ვირუსული ართრიტი;
14. რეტიკულოენდოთელიოზი;
15. ინდაურის ჰემორაგიული ენტერიტი;
16. ინდაურის კორონავირუსული ენტერიტი;
17. ინდაურის ვირუსული ჰეპატიტი;
18. ფრინველის პნევმოვირუსული ინფექცია;
19. მწყერის ბრონქიტი;
20. იხვის ვირუსული ენტერიტი;
21. იხვის ვირუსული ჰეპატიტი.

ბ) ბაქტერიული დაავადებები :

22. ფრინველის პასტერელოზი (ხოლერა)
23. სალმონელოზი.
24. კოლიბაქტერიოზი.
25. ინფექციური კორიზა, გემოფილიოზი.
26. ბორდეტელოზი (ინდაურის კორიზა).
27. მიკოპლაზმოზი.
28. ფრინველის ქლამიდოზი (ფსიტაკოზი).
29. ფრინველის ტუბერკულოზი.
30. ნეკროტული ენტერიტი.
31. წყლულოვანი ენტერიტი
32. ვიბრიონული ჰეპატიტი.
33. სპიროქეტოზი.
34. სტაფილოკოკოზი.
35. ბოტულიზმი

36. ერისიპელა.
37. ორნიტობაქტერიის რინოტრახეალური ინფექცია.
38. განგრენული დერმატიტი.

გ) სოკოვანი დაავადებები:

39. ასპერგილოზი;
40. კანდიდოზი;
41. დაქტილარიოზი;
42. ფავუსი (დერმატოფიტოზი, მკრეჭავი მუნი);
43. მიკოტოქსიკოზი.

დ) გარეგანი პარაზიტები:

44. რწყილები;
45. ტკიპები;
46. სხვადასხვა მავნებლები (ბაღლინჯო, ტილი, ხოჭო, მატლი, ბუზი, კოღო).

ე) შინაგანი პარაზიტები:

47 . ნემატოდები
48. უმარტივესი პარაზიტები
49. პროტოზოული დაავადებები (კოკციდიოზი და სხვა).

ვ) ძირითადი ვიტამინების ნაკლებობა :

50. ,,A'' ვიტამინის ნაკლებობა;
51. ,,E '' ვიტამინის ნაკლებობა;
52. ,,D ''ვიტამინის ნაკლებობა (რაქიტი);
53. ,,H ''ვიტამინის (ბიოტინის) ნაკლებობა.
54. ,, B2'' ვიტამინის (რიბოფლავინის) ნაკლებობა;
55. ,,K'' ვიტამინის ნაკლებობა;
56 . ცხიმოვანი ღვიძლის ჰემორაგიული სინდრომი.

ზ) რეპროდუქციული დარღვევები :

57. საკვერცხისა და კვერცხსავლის დაზიანებები.
58. გაძნელებული კვერცხდება.

თ) ურინარული დარღვევები:

59. უროლითიაზი, შარდმჟავა დიათეზი, შარდ კენჭოვანი დაავადება, პადაგრა.
60. კლოაციტი.

ი) კარდიოვასკულარული დაავადებები:

61. ასციტი;

62. მონელების დარღვევა ქათმებში;

63 . მონელების დარღვევა ინდაურში;

კ) კუნთებისა და ჩონჩხის დაავადებები:

64. ძვლების დეფორმაცია

ლ) გარეგანი გარსის (კანი, ლორწოვანა) დაავადებები:

65. კერატოკონიუქტივიტი.

66. ბუმბულის პათოლოგიური ცვლა.

მ) ქცევის დარღვევები:

67. კანიბალიზმი.

68. ისტერია.

ნ) მენეჯმენტის დარღვევებით გამოწვეული დაავადებები:

69. დეჰიდრაცია.

70. ჰიპოგლიკემია

71. ჰიპერთერმია.

72. სხეულის გადაცივება.

73 . ვაქცინაზე რეაქცია (ვაქცინაციის შემდგომი გართულება).

I. გადამდები დაავადებები

ა) ვირუსული დაავადებები

1. **ნიუკასლის დაავადება. (ცრუ ჭირი, აზიური ჭირი);**

გამომწვევი : Avulavirus- ის სახეობის ვირუსი, Paramyxoviridiae-ს ოჯახიდან.

ამთვისებელი ფრინველი და ასაკი: შინაური და გარეული ფრინველი. ძირითადათ ქათამი. ყველა ასაკის.

კლინიკა: სასუნთქი გზების დაზიანების გამო სახეზეა რესპირატორული გართულებები, დეპრესია, ტემპერატურის მატება, აცემინებს, თავს წევს წინ, ღებულობს ყლაპვის პოზას, ისმის სტვენის ხმა, ანორექსია, პარალიჩი, კონიუქტივიტი, ცხვირიდან და თვალიდან წებოვანი სითხის გამონადენი, ნერვული მოვლენები, ორიენტაციას კარგავს, მანეჟური მოძრაობა, კისრის მოგრეხვა, ბიბილო ციანოზური, ნაკელი მწვანე ფერის, დიარეა (88%-ში), კვერცხდება ეცემა, ავადობა 100 პროცენტი, სიკვდილიანობა 90 -100 პროცენტი. შესაბამისად ეკონომიკური ზარალი ძალიან მაღალია.

პათანატომია: ტრახეაში კატარალური ანთება, სისხლჩაქცევები,ნეკროზული კერები,საჰაერო პარკების ანთება, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვანა გარსების, საკვერცხეს ფოლიკულების ანთება, სისხლჩაქცევები, იგი განსაკუთრებითაა გამოკვეთილი კუნთოვანი და ჯირკვლოვანი კუჭის შეერთებაზე - ჰემორაგიული რკალის სახით, ასევე ბრმა ნაწლავის ბიფურკაციის ადგილზე ნაწლავის ლორწოვანა გარსზე დიფტერიული ნადებების სახით.

დიფერენციალური დიაგნოზი: ენცეფალომიელიტთან,პასტერელოზთან (ხოლერა), სპიროხეტოზთან, ინფექციურ ლარინგოტრახეიტთან, ინტოქსიკაციასთან.

მკურნალობა -არა.

პრევენციის მიზნით დროულად განვახორციელოთ ზოგადი და სპეციფიკური ვეტერინალური ღონისძიებები, მთავარია ვაქცინაციის ჩატარება.ზუსტად უნდა დავიცვათ ვაქცინაციის ინსტრუქციის მოთხოვნები.რევაქცინაცია ჩავატაროთ ასევე ინსტრუქციის გათვალისწინებით,სისხლში ანტისხეულების ტიტრის განსაზღვრის შესაბამისად.(ასევე უნდა მოვიქცეთ სხვა ინფექციური დაავადებების ვაქცინაციის დროსაც).

დაავადების გაჩენისას ცხადდება კარანტინი და ტარდება დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

ვაქცინაციის სქემას კონკრეტული მეფრინველეობის საწარმოსთვის ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე ადგენს საწარმოს ვეტერინარი ექიმი !!!

2.**ინფექციური ბრონქიტი**.

გამომწვევი: კორონავირუსი.

ამთვისებელი : ძირითადათ ქათმები,ყველა ასაკის.

კლინიკა: დაავადება გამოვლინდება: რესპირატორული,ნეფროზო-ნეფრიტული და რეპროდუქციული სინდრომით. რესპირატორული ძირითადათ (30დღემდე) ახალგაზრდებში გვხვდება: დამახასიათებელია ხველება, ცემინება, ხროტინი, ცხვირიდან და თვალიდან გამონადენი,სისუსტე,დეპრესია,სითბოსთან თავმოყრა,უმადობა,ისმის „კატის

კნავილის“ხმა.დაავადება გრძელდება 8-20 დღე.ლეტალობა 1თვემდე ასაკში 20 %, ზევით ასაკში-5%.

კვერცხმდებლებში სასუნთქი სისტემის დაზიანებები სუსტადაა გამოხატული,გვხვდება ნეფროზო-ნეფრიტული და რეპროდუქციული დარღვევები,ეცემა კვერცხდება, ნაჭუჭი რბილდება,კვერცხის გული წყალწყალაა,ყალიბდება პადაგრა.დავადება მოხდილში კვერცხდება სრულად არ აღდგება.

სასუნთქი გზების ანთება, აირსაკკულიტი,საშარდე გზების შეშუპება,შარდმჟავა მარილების დალექვა თირკმელებში(უფრო ახალგაზრდებში და ბროილერებში).რეპროდუქციული დაზიანებების გამო **პათანატომია:** კვერცხმდებელში (ოვიდიქტის შედეგად) ხშირია კვერცხის გულის მოხვედრა მუცლის ღრუში, პერიტონიტი,ვითარდება საკვერცხეს ატროფია,კვერცხსავალში კისტები,თავის ტვინის გარსები გადავსებულია სისხლით. ნეფროზო-ნეფრიტული დაზიანების გამო ვითარდება შარდმჟავა დიათეზი და შარდ კენჭოვანი დაავადებები. ხშირია მარჯვენა კვერცხსავლის რუდიმენტის კისტა.

დიფერენციაცია საჭიროა: ლარინგოტრახეიტთან,ყვავილთან,რესპირატორულ მიკოპლაზმოზთან, ნიუკასლთან, გრიპთან, ,, A”-ავიტამინოზთან.

მკურნალობა- არა.

პრევენცია: *ზოგადი და სპეციფიკური ვეტ.ღონისძიებების გატარება, აუცილებელია წინასწარი აცრა. ვაქცინა საკმაოდ ეფექტურია თუ იგი ამ მეურნეობის ან რეგიონისთვის სწორ სეროტიპს შეიცავს. ეპიზოოტიური სიტუაციის გათვალისწინებით ვაქცინაციის სქემას ადგენს საწარმოს ვეტერინარი ექიმი.*

.3. ინფექციური ბურსას დაავადება (გამბორო)

გამომწვევი -ვირუსი; .

ამთვისებელი : ქათამი,ინდაური. მეტად ახალგაზრდა(3-6 კვირის ასაკის).

კლინიკა : მოულოდნელი აფეთქება,ტრემორი,მოთენთილობა, დეპრესია,ანორექსია,დაკბილული ბუმბული,ფაღარათი,სისხლნარევი შარდი,უკანალის კორტნა. მაღალი ავადობა,სიკვდილიანობა-30%.

პათანატომია : დაავადების დასაწყისში ბურსა ჰიპერემიულია, გადიდებულია ორჯერ.მეხუთე დღიდან ატროფირდება.ნაწლავებში მომატებულია ლორწოვანას მასა,თირკმელი გადიდებულია, ხშირად სავსეა ჭარბი ურატებით.

დიფერენციაცია საჭიროა:კოქციდიოზთან,ადენოვირუსულ ინფექციებთან.

მკურნალობა -არა.

პრევენცია *: განვახორციელოთ ზოგადი და სპეციფიკური ვეტღონისძიებები. ვაქცინაცია აუცილებელია.*

4. მარეკის დაავადება

გამომწვევი -ჰერპეს ვირუსი (Herpesviridiae-ს ოჯახიდან).

ამთვისებელი: ძირითადათ ქათმები 2-7 თვის ასაკის, ასევე კვერცხდების დაწყების პერიოდი.

კლინიკა : კახექსია,დეპრესია,ასიმეტრიული პარალიჩი,სიბრმავე, თავი დახრილი ან წინ წაწეული,ჩიჩახვი გადიდებული,სუნთქვა შედარებით გაძნელებული,არა ბუნებრივი გადაადგილება.წევს-ერთი ფეხი წინ, მეორე უკან,უმადობა, დიარეა, წყალსაც არ ღებულობს.

პათანატომია : დაზიანებულია ღვიძლი,ელენთა,გული,თირკმელი,კუნთოვანი ან ჯირკვლოვანი კუჭი-ყველგან სიმსივნეებია. ნერვული ღეროები შესიებულია(მხრის,წელის),მკერდის კუნთებში სიმსივნური კვანძები, ასევე საკვერცხეში,კვერცხსავალში,ნაწლავებში,ფილტვებში.

დიფერენციაციას ვახდენთ: ლეიკოზთან,ენცეფალომიელიტთან, „B”და “E”ავიტამინოზთან.

მკურნალობა – არა.

***პრევენცია** : ვაქცინაცია აუცილებელია (იცრება ინკუბატორშივე).აცრილ ფრინველში იმუნიტეტი მთელი სიცოცხლე გრძელდება.*

5. ფრინველის ენცეფალომიელიტი (ეპიდემიური ტრემორი).

გამომწვევი: ჰეპატოვირუსი.

ამთვისებელი : ძირითადათ ქათამი, 1-2 კვირის ასაკის წიწილი.

კლინიკა: დეპრესია, ატაქსია, პარალიჩი, თავისა და კისრის ტრემორი(კანკალი), ვირუსი შესაძლებელია მოხვდეს დედლებში, რასაც კვერცხდების შემცირება მოჰყვება.

პათანატომია : ადგილი აქვს ენცეფალომიელიტისთვის დამახასიათებელ ცვლილებას,კუნთოვან ქსოვილებში აღინიშნება მოთეთრო არაჩირქოვანი კერები.ზრდასრულში ცვლილება არ აღინიშნება.

დიფერენციაცია : ნიუკასლის დაავადებასთან,მარეკთან, „A”და „E” ავიტამინოზთან.

მკურნალობაა – არა

***პრევენცია:** ვაქცინა არის.სანაშენე ფრინველი იცრება 8 - 9 კვირის ასაკში,სამრეწველო კვერცხდების დაწყებამდე 4 კვირით ადრე.*

6. ფრინველის გრიპი.

გამომწვევი : ვირუსი.

ამთვისებელი : ძირითადათ ქათამი,ინდაური,წყალში მცურავი ფრინველი. ყველა ასაკის.

კლინიკა : რესპირატორული ცვლილებები, ცემინება,ხველება,ხროტინი,ცრემლდენა,სინუსიტი,დეპრესია,კვერცხდების შემცირება.დამახასიათებელია დაავადების უცაბედი აფეთქება,მძიმე მიმდინარეობით და მაღალი სიკვდილიანობით.

პათანატომია : ტრახეის, სინუსის, საჰაერო პარკების, კონიუქტივის ანთება, ფიბრინული ექსუდატი საჰაერო პარკებში, მცირე ნეკროზული კერები: კანზე,ღვიძლზე,ელენთაზე,ფილტვებზე.წითლად დალაქული კიდურები.კვერცხმდებელში ხშირია საკვერცხე-კვერცხსავლის ატრეზია(ბუნებრივი სადინარის არარსებობა,შეხორცება).

მკურნალობა – არა.

პრევენცია: ვაქცინა სერიული გამოყენებისთვის - ჯერ არა.(ექსპერიმენტულად გამოიყენება სპეციფიკური ვაქცინა).

პრევენციის მიზნით შინაური ქათამი უნდა მოვარიდოთ წყალში მცურავ ფრინველს(ასევე გარეულს) და ღორს.

7. კვერცხმდებლობის შემცირების სინდრომი.

გამომწვევი - ადენოვირუსი.

ამთვისებელი : ქათამი, ძირითადათ კვერცხმდებელი.

კლინიკა: რადგან ძირითადათ საკვერცხე და კვერცხსავალი ზიანდება ადგილი აქვს კვერცხდების შემცირებას 40 პროცენტამდე,ფერადი კვერცხი უფერულდება, მატულობს უნაჭუჭო და თხელნაჭუჭიანი კვერცხის რაოდენობა, იცვლება კვერცხის ფორმაც (დეფორმირებულები).

პათანატომია : ძირითადათ გამოკვეთილია საკვერცხისა და კვერცხსავლის ატროფია.

მკურნალობა არა.

პრევენცია : *ვაქცინა არის, საკმაოდ ეფექტური. დაუშვებელია ქათმის კონტაქტი წყლის ფრინველთან.*

8. ინფექციური ლარინგოტრახეიტი.

გამომწვევი - ჰერპეს ვირუსი.

ამთვისებელი : ქათამი, ხოხობი, ფარშავანგი. 4 კვირაზე ზევით ასაკში და ზრდასრული ფრინველი.

კლინიკა : ჰაერის უკმარისობა, ხრჩობის ხმა, ხველება, ჩასუნთქვისას თავს მაღლა სწევს, ისმის სტვენის ხმა, ამოაქვს სისხლიანი ამონახველი, თავის ირგვლივ გარემო სისხლითაა დასვრილი (თავის ქნევის გამო), ცრემლდენა, ცხვირიდან გამონადენი. ზრდასრულში მცირდება კვერცხდება.

პათანატომია : ყელში, ტრახეაში, თვალის გარსზე - სისხლიანი დიფტერიული ნადები, ტრახეაში-საცობი, კონიუქტივიტი, სინუსიტი.

მკურნალობა-არა.

პრევენცია : *ვაქცინა არის. რადგან ვირუსი ტემპერატურის მიმართ არამდგრადია, დაავადებისას საფრინველეში გათბობა უნდა გავზარდოთ.*

9. ფრინველის ლეიკოზი (სარკომა, ლიმფოიდური ლეიკოზი).

გამომწვევი- რეტროვირუსი.

ამთვისებელი : ძირითადათ ქათმები. 16 კვირის და ზევით ასაკში.

კლინიკა : სიგამხდრე, ანემია, მუცელი გადიდებული (ღვიძლის გადიდების გამო), ბურსა გადიდებული (პალპაციით), ტერფზე, თავზე, მკერდის არეში - ატროფიები, კვერცხდება მცირდება.

პათანატომია : ლიმფომები: ღვიძლში, თირკმელში, საკვერცხეში, ბურსაში-მოთეთრო მონაცრისფრო სიმსივნური კვანძების სახით, განსაკუთრებით ბურსაში, იგი გადიდებულია მთლიანად.

მკურნალობა - არა.

პრევენცია *: ვაქცინა - არა. სადედე გუნდში უნდა შევქმნათ მოვლა შენახვის მაქსიმალურადნორმალური პირობები. დავიცვათ ვეტ სანიტარული ღონისძიებები. მთავარია დავიცვათ სანაენე ფერმა, რათა დაავადება არ გადაეცეს საინკუბაციო კვერცხით.*

10. ფრინველის ყვავილ დიფტერიტი.

გამომწვევი - ვირუსი.
ამთვისებელი : ქათამი,ინდაური.
კლინიკა : ზემო სასუნთქი გზების დაზიანების გამო ვითარდება ტრახეიტი, ცხვირიდან გამონადენი, ცრემლდენა, დიფტერიული ნადები ყელში. გამონაყარი კანზე, ბიბილოზე. ასევე საჭმლის მომნელებელი ფუნქციის მოშლა, წონაში ჩამორჩენა, კვერცხდების კლება.
პათანატომია : დაზიანებებია კანზე: პაპულის, ბუშტუკის, მუწუკის, ნაწიბურის სახით, ასევე მოწითალო მოყვითალო ფერის ქერცლი. კიდურებზე კი ყვითელი ფერის მუწუკები, ტერფზე რქოვანა გამონაზარდის სახით.
დიფტერიული ფორმისას: დაზიანებულია პირის, თვალის, ხახის ლორწოვანა გარსები,რომლებიც დაფარულია ყვითელი დიფტერიული ნადებებით.
მკურნალობა - არა.
პრევენცია : ვაქცინა არის, საკმაოდ ეფექტურია. ვაქცინაცია ტარდება სიტუაციის მიხედვით,ინსტრუქციის სრული დაცვით.
ბროილერი თუ გარემო კეთილსაიმედოა - არ იცრება.
დაავადების მოხდის შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე ყალიბდება მყარი იმუნიტეტი.

11. ქათმის ინფექციური ანემია (ლურჯი ფრთის დაავადება).

გამომწვევი - ვირუსი.
ამთვისებელი : ქათამი. 2-4 თვის ასაკში.
კლინიკა : ანემია, დეპრესია, წონაში კლება, ვითარდება მეორადი ინფექციები. დაცემა 10-60%.
პათანატომია : თიმუსის (ჩანგლისებური, მკერდუკანა ჯირკვალი) დაზიანება, ძვლის ტვინი ღებულობს ყვითელ ფერს, ბურსა ატროფირებულია, შინაგან ორგანოებში ჰემორაგიები, ფრთის სილურჯე (ჰემორაგიის გამო).
მკურნალობა - არა.
პრევენცია : *ვაქცინა არის.*
დაავადების შემსუბუქების მიზნით წყალში ეძლევა A, E, K ვიტამინები. კანის დაზიანების დროს (დერმატიტი, განგრენა) ეძლევა ანტიბიოტიკები.

12. ჩანართსხეულოვანი ჰეპატიტი.

გამომწვევი - ადენოვირუსი-ხშირად იჩენს თავს,როგორც მეორადი აგრესორი ინფექცია.
ამთვისებელი : ქათამი, 4-8 კვირის ასაკში.
კლინიკა : დაავდება იწყება უცაბედათ, ბიბილო, სავარცხელი, სახის კანი ანემიურია, სიკვდილიანობა 10 პროცენტამდე, დაავადება გრძელდება 2 კვირა. დაცემის მრუდი პირველი 5 დღე ადის მაღლა, შემდეგი 5 დღე კი დაბლა ეშვება.
პათანატომია: კანი ანემიური, ღვიძლი, თირკმელი გადიდებული, ძვლის ტვინი ყვითელი, სისხლი თხელი, ელენთა და ბურსა დაპატარავებული, მიკროსკოპულად ღვიძლის პარენქიმულ უჯრედებში და ბირთვში ჩანართებია (ამ დაავადებისთვის დამახასიათებელი).
მკურნალობა -არა.

პრევენცია : *უნდა აიცრას ბურსას და ანემიის საწინააღმდეგოდ. გავაუმჯობესოთ სანიტარულ ჰიგიენური პირობები, კვება, მიკროკლიმატი. დაავადება მოხდილი ფრინველის გუნდიდან საინკუბაციო კვერცხი არ გამოიყენება.*

13. **ვირუსული ართრიტი**.

გამომწვევი - ვირუსი.

ამთვისებილი : ქათამი, ძირითადათ ბროილერი.

კლინიკა : კოჭლობა, ტერფისა და გასტროკნემიუსის შესიება.დაავადების განვითარებასთან ერთად ფრინველი სუსტდება,ზრდა ჩერდება,თუ გასტროკნემიუსის რბილობი გაგლეჯილია, ფეხს მიათრევს. დაცემა დაბალია.

პათანატომია : ტერფის შესიება, მყესების ანთება, სახსრები და მყესი შეიცავს ანთებად ექსუდატს. ხრტილის განლევა, მყესის ფიბროზი.

დიფერენციაცია : მიკოპლაზმოზთან, ინფექციურ სინოვიტთან, სტაფილოკოკურ და სხვა მიკრობულ ართრიტთან, სალმონელოზთან.

მკურნალობა - არა.

პრევენცია : *ვაქცინა არის. იცრება ერთდღიანი წიწილი (სიტუაციის მიხედვით).*

14. **რეტიკულოენდოთელიოზი (ჯუჯობის სინდრომი).**

გამომწვევი - რეტროვირუსი.

ამთვისებელი: ქათამი, ინდაური, მწყერი, ხოხობი, ბატი. (პირველი კვირის ასაკი.).

კლინიკა : ზრდაში ძლიერი ჩამორჩენა, დეპრესიულობა, ბუმბულის ჯგუფ ჯგუფად თავმოყრა, არ ვითარდება. სახეზეა ჯუჯა წიწილი.

პათანატომია : თიმუსის და ბურსას ატროფია, ანემია,ზოგჯერ ენტერიტი,ნერვული ღეროების გადიდება, გასქელება.

დიფერენციაცია ; მარეკთან, ლეიკოზთან, ანემიასთან.

მკურნალობა -არა.

პრევენცია *: ვაქცინა - არა. საჭიროა გავაუმჯობესოთ სანიტარული მდგომარეობა. ვებრძოლოთ მწერებს, კოღოს (არიან ვირუსის გადამტანები). უნდა აღმოიფხვრას კვერცხით დაავადების გავრცელების გზა.*

15. **ინდაურის ჰემორაგიული ენტერიტი.**

გამომწვევი - ადენოვირუსი.

ამთვისებელი: ინდაური. ძირითადათ 6-12 კვირის ასაკში.

კლინიკა : უფრო ხშირია ზაფხულობით. დაავადება ვლინდება უეცარი დაცემებით, უმადობით, დეპრესიულია, ფეკალი სისხლიანი. სიკვდილიანობა გრძელდება 10 დღე. ეცემა 5-10 %. შეიძლება მეტიც. 2 კვირის **შემდეგ დაავადება გადადის კოლისეპტიცემიაში.**

პათანატომია : ანემია, წვრილი ნაწლავები სავსეა სისხლით, მცირე ჰემორაგიებია კანვეშ, კუნთებში, ეპიკარდიუმზე, ღვიძლზე, კუჭში, თირკმელზე. ელენთა გადიდებული და დალაქიანებულია, ენტერიტი. ხოხობში - გაქვავებული ელენთა.

დიფერენციაცია: სტრეპტოკოკოზთან, კოლისეპტიცემიასთან, ხოლერასთან, ბროილერში - მარეკთან.

მკურნალობა-არა.

პრევენცია *: ვაქცინა - არა. მეორადი ინფექციებისაგან დაცვის მიზნით გამოიყენება ანტიბიოტიკები. მთავარია მოვლა შენახვის პირობების მკაცრად დაცვა.*

16. ინდაურის კორონავირუსული ენტერიტი.

გამომწვევი : კორონავირუსი.

ამთვისებელი: ინდაური,ყველა ასაკში, უფრო ხშირია ახალგაზრდებში.

კლინიკა: ანორექსია, ქაფიანი ფაღარათი, დეპრესია, სხეულის ტემპერატურის დაცემა, კანის გამუქება, წონაში კლება, სითბოსთან თავმოყრა, ავადობა-100 პროცენტამდე, კვერცხდება ეცემა. დაავადება გრძელდება 2 კვირა. **პათანატომია** : ლეში კახექსიური, ენტერიტი, ფეკალი წყალწყალა, ნაწლავებში ჰემორაგიები, ბევრი ლორწოთი, პანკრიასი ცარცისმაგვარი გარეგნობისაა, თირკმელში მომატებულია შარდმჟავა მარილები, ელენთა ზომაში შემცირებული

დიფერენციაცია: სალმონელოზთან,ხოლერასთან, ჰისტომონოზთან(შავი თავი),კოქციდიოზთან, ჰემორაგიულ ენტერიტთან,გავს ასევე შიმშილის შედეგს (უჭმელობას) და წყლის უკმარისობას.

მკურნალობა: არა.

პრევენცია: *სანიტარულ ჰიგიენური და მოვლა შენახვის პირობების დაცვა. დეზინფექციების ჩატარება.*

~

17. ინდაურის ვირუსული ჰეპატიტი.

გამომწვევი : ვირუსი.

ამთვისებელი : ინდაური. 5 კვირამდე ასაკის.

დაავადება ძირითადათ უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ფრინველი ზოგადათ სუსტდება.

პათანატომია: ღვიძლში და პანკრიასზე 1 მმ დიამეტრის რუხი ფოკალური დაზიანებები და ლაქები.

მკურნალობა - არა.

პრევენცია: *ვაქცინა - არა. საჭიროა: კვების, მიკროკლიმატის, სანიტარული პირობების გაუმჯობესება. რამდენიმე კვირაში ფრინველი გამოჯანმრთელდება.*

18. ფრინველის პნევმოვირუსული ინფექცია.

–(ინდაურის რინოტრაქეიტი.), (-ქათმებში შეშუპებული თავის სინდრომი).

გამომწვევი : ვირუსი.

ამთვისებელი : ინდაური, ქათამი.

კლინიკა : ფრინველი მოთენთილია, მოკუნტული, ხველება, ცემინება, ხროტინი, ცხვირიდან გამონადენი. შეიძლება უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს. ინდაურში დაცემა მაღალია.

პათანატომია : ტრახეიტი, აირსაკკულიტი. სხვა ნიშნები გამოხატულია სუსტად.

სპეციფიკური **მკურნალობა-არა.**
მეორადი ინფექციების საწინააღმდეგოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს.
***პრევენცია** : ვაქცინა - არა. მკაცრად დავიცვათ ზოგადი ვეტერინარული ღონისძიებები. მოვარიდოთ გარეულ ფრინველებს.*

19. მწყერის ბრონქიტი.

გამომწვევი - ადენოვირუსი .
ამთვისებელი : მწყერი, დაავადება 4-კვირამდე ასაკში-მწვავედ მიმდინარეობს, 8 კვირაზე ზევით ასაკში-მსუბუქად.
კლინიკა: უცაბედი აფეთქება, ტრახეალური ხროტინი,ხველა,ცემინება,ცრემლდენა,კონიუქტივიტი,ზოგჯერ ნერვული აშლილობა.დაავადება გრძელდება 1-3-კვირა, დაცემა 10-100 პროცენტი.
პათანატომია: ტრაქეაში სქელი გაუხეშებული ლორწო, საჰაერო პარკები შესქელებული,მუქი ფერის, კონიუქტივიტი, ცხვირში ხშირად საცობი.
მკურნალობა-არა.
***პრევენცია**: ვაქცინა -არა. საჭიროა საფრინველეში ტემპერატურის მომატება, სუსტების ცალკე გამოყვანა, დასმის ნორმის გაზრდა.*

20. **იხვის ვირუსული ენტერიტი**.

გამომწვევი: ჰერპესვირუსი.
ამთვისებელი: იხვი,ბატი, გედი. ყველა ასაკის, მეტად ახალგაზრდა.
კლინიკა: ფაღარათი, სისხლით დალაქული ანუსი, გაუწყლოვება, ციანოზური ნისკარტი, უმადობა, სისუსტე, ატაქსია, გაშლილი ფრთები, გამოფიტვა, თავის დახრა, ფოტოფობია, მშრალი ქუთუთო, ცხვირიდან გამონადენი, კვერცხდება ეცემა.
პათანატომია: შინაგან ორგანოებში ჰემორაგიები, მწვავე ენტერიტი, ღვიძლი დალაქავებული, ელენთა შემცირებული.
დიფერენციაცია: ვირუსულ ჰეპატიტთან, პასტერელოზთან, ნიუკასლთან, გრიპთან, კოკციდიოზთან.
მკურნალობა-არა.
***პრევენცია** : ვაქცინა არსებობს. დაუშვებელია გარეულ ფრინველებთან კონტაქტი.*

21. იხვის ვირუსული ჰეპატიტი.

გამომწვევი: ვირუსი.
ამთვისებელი: იხვი. მეტად ახალგაზრდა ასაკის.
კლინიკა: დეპრესია, თვალები ნახევრად დახუჭული. ავადობა-100 %. ფრინველი დაავადებიდან მალე იღუპება - ოფისტოტონუსის მდგომარეობაში (ყელის მყესების ტონუსური შეკუმშვა). სიკვდილიანობა მაღალი.
პათანატომია: ყელი გაშეშებული, ელენთა და ღვიძლი გადიდებული, ნეკროზული კერებით, ნაღვლის სადინარი გადიდებული. .
დიფერენციაცია: იხვის ვირუსულ ენტერიტთან,ნიუკასლთან, ფრინველის გრიპთან

მკურნალობა: არა.

პრევენცია: *ვაქცინა არა. უნდა გავაუმჯობესოთ მოვლა შენახვის პირობები. დავიცვათ ვეტ სანიტარული მოთხოვნები.*

გ) ბაქტერიული დაავადებები.

22. ფრინველის პასტერელოზი (ხოლერა).

გამომწვევი : Pasterela multicida.

დაავადების მოხდის შემდეგ ფრინველი ბაცილის მტარებელია და ავრცელებს.

ამთვისებელი : როგორც შინაური ისე გარეული და წყალში მცურავი ფრინველი. ხშირია ზრდასრულში, მეტად ზრდასრულს მიღწეულში.

კლინიკა : უცაბედი სიკვდილი, კახექსიურია, ციანოზური, ცხვირიდან და პირიდან ლორწოვანა გამონადენი, დიარეა, იყუჭება მყუდრო ადგილას. ქრონიკული მიმდინარეობისას ბიბილო და სახსრები შესიებულია. სისხლჩაქცევები: გულზე,ნაწლავის ლორწოვან გარსზე,კუნთოვანი კუჭის ლორწოვანზე. საკვერცხეს ანთება,პერიტონიტი,ღვიძლი გადიდებული, ფილტვსა და თირკმელში **პათანატომია** : სისხლჩაქცევები გულზე, ნაწლავის ლორწოვან გარსზე, კუნთოვანი კუჭის ლორწოვანზე, საკვერცხეს ანთება, პერიტონიტი, ღვიძლი გადიდებული, ფილტვსა და თირკმელში ნეკროზული კერები, სახსრის ანთება, სისხლძარღვები სავსეა შედედებული სისხლით.

მკურნალობა :რთულია,თუმცა ადრეულ სტადიაზე გამოიყენება: სულფანილამიდები (ტეტრაციკლინის ჯგუფი, სულფადიმეზინი), ანტიბიოტიკები.

პრევენცია: *ზოგადი და სპეციფიკური ვეტღონისძიებების დროული და ეფექტური გატარება. არის ვაქცინა.*

23. სალმონელოზი.

ა) **პულორუმის** დაავადება.

გამომწვევი: ბაცილა-S.pullorum. S.gallinarium

ამთვისებელი : ქათამი,ინდაური,გარეული ფრინველი.ძირითადათ ახალგაზრდა.

კლინიკა: ზრდასრული ბაცილა მატარებელია(ტიფი). სიმპტომები-არა. ახალგაზრდებში სიკვდილიანობა მატულობს დაავადებიდან მე-4-5 დღეს. სუსტდება, თეთრი ფერის დიარეა, ანორექსია, ანალური ხვრელი ეცობა, იკრიბებიან სითბოსთან, არის რესპირატორული ნიშნებიც. ზრდასრულში კლინიკა ნაკლებადაა გამოხატული.

პათანატომია : ზრდასრულში : მიოკარდიტი, პერიკარდიტი, ატროფიული საკვერცხე, პერიტონიტი, ასციტი.

ახალგაზრდებში: კლოაკაში თეთრი წებოვანი მასა, ღვიძლზე, გულზე, ფილტვზე, ელენთაზე-ნაცრისფერი ნადებები. ელენთა გადიდებული, თირკმლებში შარდმჟავა მარილების სიჭარბე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადედე გუნდს,ინკუბაციას,მკაცრად დავიცვათ ზოგადი ვეტერინარული ღონისღიებები.

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით, სულფანილამიდებით

ამ ჯგუფის დაავადებებს მიეკუთვნება:

ბ) ფრინველის ტიფი.

ამთვისებელი: ქათამი,ინდაური, ძირითადათ ზრდასრულში, გვხვდება ახალგაზრდებშიც.

კლინიკა : საერთოა. ემატება: ბიბილოს, კანის სიმკრთალე, დიარეა, ბიბილო და სავარცხელი პატარავდება, ატროფირდება.

პათანატომია : მოზარდს იგივე პათანატომია, რაც პულოროზისას.

ზრდასრულში: ღვიძლი გადიდებული,მომწვანო - მოყავისფრო ფერის კერები. ელენთა და თირკმელი გადიდებული.წვრილ ნაწლავებში ენტერიტი, წყლულები.

მკურნალობა, პრევენცია : ზოგადათ სალმონელოზის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარება.

გ) არიზონოზი.

გამომწვევი : ბაქტერია.

ამთვისებელი : ძირითადათ ინდაურის წიწილები, 3-კვირამდე ასაკის.

კლინიკა : მოზარდებში: დიარეა, სისუსტე, კლოაკაში შეწებებული ფეკალური მასა, ატაქსია, კანკალი, თვალის არის ჩაშავება, სიბრმავე. ზრდასრულში-კლინიკის გარეშ

პათანატომია :სეპტიცემიის ნიშნები,ღვიძლი გადიდებული-ყვითელი,პერიტონიტი,ნაწლავებში ხაჭოსებრი საცობი.

დიფერენციაცია :ასპერგილოზთან, კოლიბაცილოზთან, პარატიფოიდთან.

მკურნალობა : ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები.

პრევენცია : სანიტარულ ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება,დროული დეზინფექციები.

დ) პარატიფოიდის ინფექცია

გამომწვევი : S.paratyphoid.

ამთვისებელი : შინაური ფრინველი, 4 კვირამდე ასაკის.

კლინიკა : დიარეა, სისუსტე, დეჰიდრატაცია, კანკალი, სითბოსთან თავმოყრა.

პათანატომია : ენტერიტი, სეპტიცემია, ომფალიტი (ჭიპლარის ანთება), თვალის გუგის შესიება.

მკურნალობა : ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები.

პრევენცია : სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

24. კოლიბაქტერიოზი

გამომწვევი : Esherichia coli

ამთვისებელი : ყველა სახის ფრინველი,-ყველა ასაკის.

კლინიკა : სინდრომების მიხედვით:

ა) **აირსაკკულიტი-** მეტად 5-6 კვირის ბროილერში. დაავადებას ხელს უწყობს ცუდი ვენტილაცია. ხშირია მიკოპლაზმოზის, ნიუკასლის, ინფექციური ბრონქიტის, ლარინგოტრახეიტის დაავადების შემდეგ. სინდრომის შესაბამისი ორგანოს დაზიანება. სანიტარული პირობების გაუმჯობესება,საფრინველეების,ინკუბატორის,კვერცხის დეზინფექციები, კარგი მიკროკლიმატი.

ბ) პერიკარდიტი (სეპტიცემიის შემდეგ).

გ) ომფალიტი, წიწილის ჭიპლარის (ყვითრის ჩანთის) ანთება.

დ)კოლიფორმის სეპტიცემია (იხვის სეპტიცემია);
ე) მწვავე სეპტიცემია (გავს ხოლერას და ტიფს);
ვ) ენტერიტი;
ზ) სალპინგიტი (ზრდასრულში).
თ) კოლიგრანულომა.
ი) სინოვიტი, ოსტეოართრიტი;
კ) პანოფტალმიტი და მენინგიტი;
ლ) ცელულიტი.
პათ.ანატომია: სეროზულ ფიბრინული პერიკარდიტი, ჰეპატიტი მონაცრისფრო ფიბრინული ნადებით, ჰემორაგიები ნაწლავებში, საკვერცხეში, სასუნთქ გზებში.
მკურნალობა: ანტიბიოტიკებით. (ამოქსაცილინით, ფლორიქსით, ტეტრაგიდროვიტით და სხვა).

25. ინფექციური კორიზა - გემოფილიოზი

გამომწვევი : პარაგალინარიუმის ჩხირი.
ამთვისებელი : ქათამი, ხოხობი, ნუმიდა.
კლინიკა : დაავადების მოულოდნელი დაწყება, უმადობა, კვერცხდების კლება, ზრდის შეჩერება, ოკულო ნაზალური გამონადენი, კონიუქტივიტი, ქუთუთოების შეწებება. **სახის ედემა** (შეშუპება).
პათანატომია: ანთებითი პროცესები ნოზალური გასასვლელების, სინუსის, გამონადენი ცხვირის ღრუდან, ინფრაორბიტალური სინუსის გაფართოება.
დიფერენციაცია : ხოლერასთან, კანის ინფექციურ დაავადებებთან, ავიტამინოზთან. ვაქცინა-არის.
მკურნალობა: ტეტრაციკლინი, ერითრომიცინი და სხვა ანტიბიოტიკები, სულფანილ ამიდები.
პრევენცია : *დავიცვათ ვეტ სანიტარული წესები, სანაციის პერიოდი, ჩავატაროთ დეზინფექციები.*

26. ბორდეტელოზი (ინდაურის კორიზა)

გამომწვევი : პნევმოვირუსი

ამთვისებელი : ინდაური ყველა ასაკის, განსაკუთრებით 1-6 თვის ასაკში.
კლინიკა : დაავადება იწყება უცაბედად, ავადობა არის მაღალი, დაავადებიდან 5 დღე დაცემა ერთ დონეზეა, ცხვირიდან და თვალიდან ადგილი აქვს წებოვან გამონადენს, ცხვირცემინება, ტრახეალური ხროტინი, ხმის დაკარგვა, სუნთქავს პირიდან, ფეხებით იქავებს თვალებს, იკაწრავს, დაცემა გრძელდება 2 კვირა, ხოლო ხროტინი გრძელდება უფრო ხანგრძლივად, დაავადებულის 10-60% იღუპება, დაცემა მაღალია ასაკოვან ინდაურში.
პათანატომია : რინიტი, სინუსიტი, ტრახეიტი, ტრახეის რგოლების გამრუდება და შევიწროვება (რის გამოც იხრჩობა).
მკურნალობა - არა.

პრევენცია : *ვაქცინა მეცნიერულად მიღებულია.*

უნდა დავიცვათ სანიტარული პირობები, გაბალანსებული კვება, მიკროკლიმატი, დროულად ჩავატაროთ დეზინფექციები.

27. მიკოპლაზმოზი

გამომწვევი, რამდენიმე სახისაა :

ა) **M.gallisepticum ,**

ამთვისებელი : ქათამი, ინდაური , ყველა ასაკის.

კლინიკა : დაავადება ვლინდება ნელა, თანდათანობით, ეწყება ცხვირცემინება, ხროტინი, თვალიდან და ცხვირიდან გამონადენი,სინუსის შესიება, მადა და კვერცხმდებლობა ეცემა, სუსტდება. ბროილერში (3-8 კვირის ასაკში) უფრო მწვავედ მიდის, ვითარდება პნევმონია, აირსაკკულიტი. დაავადებას ხელს უწყობს სტრესი.

პათანატომია : ლეში კახექსიურია, სინუსის, ტრახეის, ბრონქების კატარული ანთება. საჰაერო პარკი გამუქებულია, შეიცავს მღვრიე მასას, ვითარდება პერიჰეპატიტი, პერიკარდიტი. სინუსი შესიებულია.

მკურნალობა : ტეტრაციკლინი, ტილოზინი და სხვა.

პრევენცია : ვაქცინა არის. **დაიმახსოვრეთ** : მაქსიმალურად ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ მიკოპლაზმოზის დაავადების განვითარება, რადგან დაავადების მკურნალობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მაღალ ეფექტსაც ვერ იძლევა, შეიძლება დაავადების მუდმივი კერა ჩამოყალიბდეს. ამიტომ უნდა ვაკონტროლოთ მუდმივად მიკროკლიმატი, განსაკუთრებით ტემპერატურა, სინესტე, ვენტილაცია, მტვრის ნაწილაკები და მავნე აირები ჰაერში, სანიტარულ ჰიგიენური პირობები, დავიცვათ სანაციის პერიოდი, დეზინფექციის ჩატარების სქემები, გავაუმჯობესოთ მოვლა შენახვის, კვების პირობები, დავიცვათ დასმის ნორმა, ავაცილოთ სტრესი.

ბ). მიკოპლაზმა - მელაგრიდის ინფექცია - M. melagrida

ამთვისებელი ინდაური, ახალგაზრდა ასაკში (ემბრიონი, წიწილი).

კლინიკა : წიწილი სუსტდება, უმნიშვნელო რესპირატორული ნიშნები, კისრის მოღრეცვა.

პათანატომია : აირსაკკულიტი, საჰაერო პარკში მცირე ყვითელი მასა, ქონდროსტროფია.

მკურნალობა: ტეტრაციკლინი, ტილოზინი, სპექტინომიცინი (წყალში).

გ) მიკოპლაზმა - სინოვიალური

გამომწვევი : M. synoviae

ამთვისებელი : ქათამი, ინდაური. ბროილერი 4-12 კვირის ასაკის წიწილში. ინდაურში უფრო ინტენსიურად 10-12 კვირის ასაკში მიმდინარეობს, გვხვდება ზრდასრულშიც.

კლინიკა: კოჭლობა, იატაკზე წევს, ფეხები შესიებულია, განსაკუთრებით ფეხის გულები.

პათანატომია : აირსაკკულიტი, ბარძაყის მყესები შეიცავს წებოვან მასას, ასევე დაზიანებულია მენჯი.

მკურნალობა : ანტიბიოტიკები მაღალი დოზებით, ეფექტურია კუნთებში ინექცია.

28. ფრინველის ქლამიდოზი (ფსიტაკოზი)

გამომწვევი : chlamidia psittaci , გადადის ადამიანზე მტრედით და თუთიყუშით. შინაური და გარეული, გადამფრენი ფრინველი, თუთიყუში, მტრედი. ყველა ასაკის. დაავადების სწრაფი აფეთქება, სუნთქვის პრობლემები, დიარეა, მადა იკლებს, **კლინიკა** : დაავადების სწრაფი აფეთქება,სუნთქვის პრობლემები, დიარეა, მადის დაქვეითება, წონაში იკლებს, ცხვირიდან გამონადენი, წონასწორობას კარგავს, პარალიჩი, კონიუნქტივიტი.

პათანატომია : სუსტად გამოხატული დაზიანებები სასუნთქ გზებში, ელენთა გადიდებული, ენტერიტი, ჰეპატიტი, ნეფრიტი, პერიტონიტი, პერიკარდიტი, აირსაკკულიტი, ფიბროზული პნევმონია.

მკურნალობა: ტეტრაციკლინი და სხვა ანტიბიოტიკები.ადამიანების მკურნალობა-ანტიბიოტიკებით.

პრევენცია : სანიტარული პირობების დაცვა, დეზინფექციები.

29. ფრინველის ტუბერკულოზი

გამომწვევი : ბაცილა Mycobacterium avium . შესაძლოა ადამიანის დასნებოვნება

ამთვისებელი : ზრდასრული და სრულ ასაკს მიღწეული ფრინველი.

კლინიკა : ორგანიზმი იფიტება, დიარეა, კოჭლობა, სახე და ბიბილო ანემიურია. თუმცა ამ დროს მადა შენარჩუნებულია

პათანატომია: სხეული გამოფიტულია, ნაწლავებზე შეიმჩნევა ტუბერკულომები განფენილი გრანულომების სახით. გრანულომებია ასევე ღვიძლსა და ელენთაში.

მკურნალობა - არა.

პრევენცია : სეროლოგიური მონიტორინგი. ზოგადი ვეტ. ღონისძიებების მკაცრად დაცვა.

30. ნეკროტული ენტერიტი

გამომწვევი : ბაქტერია (cestridium perfrigens), ძირითადათ მათი ტოქსინები მოქმედებს. ქათამი 2 -10 კვირის,

ამთვისებელი : ქათამი 2-10 კვირის, ინდაური 7-12 კვირის ასაკის.

კლინიკა : უცაბედი სიკვდილიანობა, სისუსტე, უმოძრაობა, მაღალი სიკვდილიანობა.

პათანატომია: ენტერიტი, ნეკროტული კერებით. ნაწლავები გაბერილია და ძლიერ დაზიანებული.

შიგთავსი ყავისფერი, მყრალი სითხით. დეჰიდრატაცია, ღვიძლი გამაგრებული.

მკურნალობა : ანტიბიოტიკებით.

პრევენცია : სანიტარული მდგომარეობის, კვების პირობების, მიკროკლიმატის გაუმჯობესება

31. წყლულოვანი ენტერიტი

გამომწვევი : clostridium colinum

ამთვისებელი : მწყერი, ინდაური, ქათამი (ახალგაზრდა ასაკის).

კლინიკა : მოხრილი გადაადგილება, გადაგდებული კისრით, ფრთები ჩამოყრილი,ნახევრად დახუჭული თვალები, დიარეა - ხშირად სისხლიანი. მწყერის ცურცლი - წყლიანი. დაცემა-100 %-მდე.

პათანატომია : ნაწლავებში ღრმა წყლულები, პერიტონიტი, ენტერიტი, სისხლიანი ფეკალური მასა, ღვიძლი ყვითელი ფერის კერებით, ელენთა გადიდებული.

დიფერენციაცია : კოკციდიოზთან.

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით, უფრო ეფექტურია წყალთან ერთად.

პრევენცია : მოვლა შენახვისა და კვების პირობების დაცვა.

32. ვიბრიონული ჰეპატიტი

გამომწვევი : Camphylobacter jejuni

ამთვისებელი : ქათამი. უმეტესად ზრდასრული.

კლინიკა : ნაკლებადაა გამოხატული, ძირითადათ უმადობა.

პათანატომია : ღვიძლი გადიდებული-ყვავილოვანი კომბოსტოს მსგავსი.

პრევენცია : გავაძლიეროთ ზოგადი ვეტ.პროფილაქტიკური ღონისძიებები, გავაუმჯობესოთ მიკროკლიმატი, გაბალანსებული კვება.

33. სპიროქეტოზი

გამომწვევი : Bornelia anserina

ამთვისებელი : შინაური ფრინველი

კლინიკა : ფრინველი დასუსტებულია, ციანოზური, დიარეა, წევს, პარალიზდება, სვამს ბევრ წყალს.

პათანატომია : ელენთა, ღვიძლი გადიდებული, სისხლჩაქცევებით, თირკმელი, გული-გადიდებული.

. **მკურნალობა:** ანტიბიოტიკებით, ეფექტურია ადრეულ სტადიაზე. პარალელურად ვებრძოლოთ

პარაზიტებს, მწერებს.

34. სტაფილოკოკოზი

გამომწვევი : სტაფილოკოკი

ამთვისებელი : შინაური ფრინველი, მეტად ზრდასრული.

კლინიკა: -

-ომფალიტი,

-განგრენული დერმატიტი,

-ცელულიტი, დისკოსპონდილიტი,

-აბსცესი, ოსტეომიელიტი, სეპტიცემია, ართრიტი, სინოვიტი.

პათანატომია : სინდრომის შესაბამისი დაზიანებები.

მკურნალობა: ანტიბიოტიკები. ეფექტურია ადრეულ სტადიაზე.

***პრევენცია** : მკაცრად დავიცვათ ზოგადი ვეტ.ღონისძიებების მოთხოვნები, კვების პირობები,მიკროკლიმატი.*

35. ბოტულიზმი

გამომწვევი: Clostridium botulinum-ის ტოქსინები.

ამთვისებელი : იხვი, ხოხობი. იშვიათად ქათამი .(ავადდება ადამიანიც).

კლინიკა : ფრინველი სუსტდება, ძილისკენ მიდრეკილება, ფეხზე დგომა უჭირს, პარალიჩი, წვება, თვალებს ხუჭავს.

პათანატომია : ძირითადათ-ენტერიტი.

მკურნალობა: ანტიტოქსინის გამოყენება, სოდიუმის სელენიტი, A, D, E ვიტამინების დამატება, ასევე ანტიბიოტიკების გამოყენება.

პრევენცია : სანიტარული პირობების დაცვა, საკვების კონტროლი.

36. ერისიპელა.

გამომწვევი : ერისიპელას ჩხირი

ამთვისებელი : მეტად ასაკოვან მამალ ინდაურში.(ასევე: ღორი, თევზი, ადამიანი).

კლინიკა : უცაბედი გამოვლინება, ფრინველი სუსტდება, სიარული უჭირს, წევს, დიარეა მოყვითალო-მომწვანო ფერის, რესპირატორული სიმპტომები. დაავადება მიმდინარეობს სწრაფად - საათებიდან ერთი დღეღამე, ბიბილო გადიდებული, კანი წითელი, განსაკუთრებით ყელზე. ქრონიკული ფორმისას უსივდება სახსრები.

პათანატომია : დაზიანებულია: ღვიძლი, თირკმელი, ელენთა - ნეკროზული კერებითა და სისხლჩაქცევებით. პერიკარდიუმზე და ეპიკარდიუმზე სისხლჩაქცევები. კატარული ენტერიტი, ნაწლავებში ბევრია ფეკალური მასის ნარჩენი. თავისა და კისრის არეში კანის დაზიანებები, პერიტონიტი, დიარეა, ლპობადი ართრიტი, კუნთებში სისხლჩაქცევები.

დიფერენციაცია: კოლისეპტიცემიასთან, სალმონელოზთან, სტრეპტოკოკოზთან, ქლამიდიოზთან, ხოლერასთან.

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით.

პრევენცია: ვაქცინა მეცნიერულად დამუშავებულია, იცრება 8-12 კვირის ასაკში.

37. ორნიტობაქტერიის რინოტრახეალური ინფექცია

გამომწვევი : ვირუსი

ამთვისებელი : ინდაური, ქათამი. ყველა ასაკის.

კლინიკა : მსუბუქი რესპირატორული გამოვლინება, სუნთქვის გაძნელება, ხროტინი,ზრდასრულში უფრო მეტად. დაცემა მზარდი რაოდენობით.

პათანატომია : ზედა სასუნთქი გზების დაზიანება, ანთებადი კერები, სინუსიტი. მკურნალობა: ანტიბიოტიკებით.

მკურნალობა : ანტიბიოტიკებით.

პრევენცია : სანიტარული პირობების, მიკროკლიმატის დაცვა, გაბალანსებული კვება.

38. განგრენული დერმატიტი.

გამომწვევი : ბაქტერია (მოქმედებს მათი ტოქსინები).

ამთვისებელი : ქათამი. 4-16 კვირის ასაკის.

კლინიკა : უცაბედი სიკვდილიანობა, დეპრესია,ზოგჯერ კოჭლობა, კანის დაზიანება-კრეპიტანტულია.

პათანატომია: კანზე :მუქი განგრენული ლაქები,ნეკროტული წარმონაქმნებით, ბუმბულის ცვენით. ფაბრიციუმის ბურსას ატროფია.

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით.

პრევენცია : სანიტარულ ჰიგიენური პირობების, მიკროკლიმატის, დასმის ნორმების დაცვა, გაბალანსებული კვება.

გ) სოკოვანი დაავადებები.

39 . ასპერგილოზი-მიკოტური პნევმონია (საბუდრის პნევმონია),-პნევმომიკოზი.

გამომწვევი : სოკო

ამთვისებელი : ფრინველი,ყველა სახის.

კლინიკა : ქოშინი, ხროტინი, ციანოზი, აჩქარებული სუნთქვა, ფაღარათი, ანორექსია, ძილიანობა, სიგამხდრე, გაძლიერებული წყურვილი.

პათანატომია : საჰაერო პარკების წყლულები, ჩამდგარი სითხე, ბრონქებზე ნაცრისფერი, შავი, ან მწვანე ნადებები.

მთავარია პრევენცია, დაავადებულის იზოლაცია, დეზინფექციები, განსაკუთრებით ტარის, საკვები კომპონენტების გაუვნებლობა.

მკურნალობა: ნისტატინით, ამფოტერიცინ B. ასევე სპილენძის სულფატის ხსნარის გაფრქვევა შენობაში (1: 2000), გაშრობამდე დატოვება, ან სხვა ფუნგიციდის.

40. კანდიდოზი (ჩიჩახვის მიკოზი-მჟავე ჩიჩახვი).

გამომწვევი : სოკო.

ამთვისებელი : ქათამი, ინდაური, მტრედი, წყლის ფრინველი, გარეული ფრინველი.

კლინიკა : მადის შემცირება,ზრდაში ჩამორჩენა, ფაღარათი, ჩიჩახვის გადავსება მჟავე სუნის სითხით.

პათანატომია : ძირითადათ : წყლულები პირის ღრუში, საყლაპავში, ჩიჩახვში.

პრევენცია და მკურნალობა : სანიტარული და ჰიგიენური პირობების დაცვა, დაავადების მიზეზის მოცილება. პრეპარატებიდან გამოიყენება: სპილენძის სულფატი(1:2000), ნისტატინი.

41. დაქტილარიოზი.

გამომწვევი : სოკო .

ამთვისებელი : ქათამი, ინდაური,მეტად - ახალგაზრდა ასაკში.

კლინიკა: კოორდინაციის დარღვევა, ტრემორი, ტორტიკოლიზი, წრიალი, მოუსვენრობა, მოდუნება.

პათანატომია : მიკოტური დაზიანება: საჰაერო პარკებში, ფილტვში, ღვიძლში, თვალში, თავის ტვინში.

პრევენცია, მკურნალობა: *მთავარია სოკოს გაუვნებლობა, დეზინფექციები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.*

42. ფავუსი (ფრინველის მკრეჭავი მუნი). -დერმატოფიტოზი.

გამომწვევი: სოკო.

ამთვისებელი : ძირითადათ ეგზოტიკური და გარეული ფრინველი.

კლინიკა : თეთრი გამხმარი საფარველის სახით დაზიანებები ბიბილოსა და სავარცხელზე.

პათანატომია : დაზიანება კანზე, იშვიათად ბუმბულის ძირებში.

პრევენცია : სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვა.

მკურნალობა: ადგილობრივად ნისტატინის გამოყენება.

43. მიკოტიქსიკოზი

გამომწვევი : სოკო (მოქმედებს ტოქსინი)

ამთვისებელი : ყველა სახის ფრინველი, ასევე ცხოველი და ადამიანი.

კლინიკა : ნერვული მოვლენები, კოორდინაციის დარღვევა, უმადობა, არაჯანმრთელი ბუმბული, პროტეინის სინთეზის მოშლა, თირკმლის ფუნქციის მოშლა, წყურვილი, დიარეა (ზოგჯერ სისხლიანი), ენტერიტი, კიდურების ნეკროზი,ზრდაში ჩამორჩენა, კვერცხმდებლობის კლება.

პათანათომია : ღვიძლი ყავისფერი ან ყვითელი ფერის, ენტერიტი, ასციტი, კისტები, თირკმელი გადიდებული.

პრევენცია და მკურნალობა *: სანიტარული პირობების გაუმჯობესება. ტენიანობის რეგულირება, დაავადებისას დაზიანებული საკვების შეცვლა. ეფექტურია „C“ვიტამინის მიცემა.*

მთავარია საკვები კომპონენტების სისტემატიური კონტროლი. ტოქსინების საწ. პრეპარატების დამატება.

დ) გარეგანი პარაზიტები.

44. რწყილები

40-ზე მეტი სახეობის მწერია. ცალკეული სახეობის ორგანიზმს განსაკუთრებული მწერი ყავს.

ამთვისებელი : ყველა სახის ფრინველი, ყველა ასაკის.

კლინიკა : თავზე, ფრთის ქვეშ ან სხვა ადგილას, იწვევს დისკომფორტს, მოუსვენრობას, ერღვევა ძილი.

პათანატომია : კანზე, ბუმბულზე, ნისკარტის ირგვლივ დაზიანებებია , თავმოყრილია რწყილის კვერცხები. რწყილის ზომებია: 1-6-10 მმ.

პრევენცია, მკურნალობა *: თვეში ორჯერ აუცილებელია ქათმის შემოწმება. მაქსიმალურად დავიცვათ სანიტარულ ჰიგიენური პირობები. სიტუაციის მიხედვით მწერების საწინააღმდეგოდ დავამუშაოთ თვეში 1 ან 2-ჯერ.*

45. ტკიპები.

ა) ქათმის ტკიპა, სისხლის მწოველი : არგასუსი, იქსოდესი, დერმანისუსი (წითელი ტკიპა)

ტკიპები ჩვეულებრივად შავი ან ნაცრისფერია, როცა სისხლს მოსწოვს წითელი ფერისაა, 0,4-0,7 მმ სიგრძის ზომის. ცოცხლობს 7 დღე.

ამთვისებელი : ქათამი, ყველა ასაკის.

კლინიკა : უმეტესად ესევიან ღამით, იკვებებიან სისხლით, ზიანდება ბუმბული, ვითარდება ანემია, არიან სხვადასხვა დაავადებების გადამტანები.

პათანატომია : ძირითადი დაზიანებაა კანზე, უკანალის ზემოთ.

მკურნალობა, პრევენცია : დაავადების მკურნალობა (ტკიპების საწინააგმდეგო დამუშავება) უნდა ჩატარდეს დასაწყისში კვირაში ერთხელ. შემდეგ ორ კვირაში ერთხელ. გამოიყენება: ბიტოქსი, ექტოციდოლი, პერტეიდი, სებაცილი, ვიროციდი, ივერსანი, ივერმეკი ON, ბროვერმექტინი, დურსბანი და სხვა. კომპლექსში ეფექტურად გამოიყენება გალიების, იატაკის, კედლების თერმული დამუშავება გაზის ალით (მოწვა), ასევე ნავთით ან დიზელის საწვავით დამუშავება.

პრევენციის მიზნით მთავარია არ დავუშვათ ტკიპების შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე, რისთვისაც მკაცრად უნდა გავატაროთ ვეტერინარული პრევენციული ღონისძიებები.

ბ) ჩრდილოეთის ტკიპა

კლინიკა : მუდმივად არიან ფრინველზე.

მკურნალობა : ტკიპების საწინააღმდეგო დამუშავება-კვირაში ერთხელ.

გ) ბუმბულის მპუტავი ტკიპა :

- **ციტოდიოზი:** ბუდობს საჰაერო პარკში.
- **სირინგოფილოზი :** ფრთის ძირებში
- **მალაფაგოსი** - ბუმბულიჭამია.

აუცილებელია ფრინველის, საფრინველეს, ტარის სისტემატიური დამუშავებას ტკიპების საწინააღმდეგო პრეპარატებით.

დ) ქერცლიანი ფეხის ტკიპა:

- **კნემიდოკოპტოზი - კანის და სხეულის.**
- **ეპიდერმოპტოზი.**

პარაზიტები ზომით პატარაა, უნდა გამოვიყენოთ გამადიდებელი.

კლინიკა : ძირითადათ თავმოყრილი არიან უბუმბულო კანზე.

პათანატომიურად კანი გაუხეშებულია - კერატიზებული.

მკურნალობა და პრევენცია : გამოიყენება ზეთოვანი პრეპარატები, საპნიანი წყალი, მთავარია პრეპარატმა შეაღწიოს კანში, პარალელურად აუცილებელია შენობის დამუშავება.

46. სხვადასხვა მავნებლები.

-ბაღლინჯო, სხვადასხვა ტკიპები, მუქი ხოჭო, ფქვილის მატლი, მტრედის ბუზი, შავი ბუზი, ალფატობიუსი, კოღო და სხვა.

პარაზიტი შეუიარაღებელი თვალით ჩანს, ზომით-1,5 მმ - ია, მოწითალო ფერის, იკვებებიან ღამით.

სამკურნალო და პრევენციის მიზნით გამოყენება ტკიპებისა და მწერების საწინააღმდეგო პრეპარატები :ბიტოქსი,ექტოციდოლი,პერტეიდი, სებაცილი, ვიროციდი, ივერმეკი ON, ივერსანი, ბროვერმექტინი, დურსბანი და სხვა.ს

ე) შინაგანი პარაზიტები.

47. ნემატოდები.

გამომწვევი : მრგვალი ჭია, **ასკარიდა,** რომელიც იწვევს დაავადება - **ასკარიდიოზს** და **ჰეტერაკისები,** რომლებიც იწვევენ დაავადება- **ჰეტერაკიდოზს.**

ასკარიდია პარაზიტობს- წვრილ ნაწლავებში, **ჰეტერაკისები** - ძირითადათ ბრმა ნაწლავში.

ამთვისებელი : შინაური ფრინველი, ქათამი, ინდაური, ბატი, ციცარი, ფარშევანგი, ხოხობი, როჭო, შედარებით ახალგაზრდა ასაკის.

კლინიკა : უმოძრაობა, ანემიურობა, ფრთები ჩამოშვებული, უმადობა, სიგამხდრე, ჯერ ყაბზობა, შემდეგ დიარეა.

პათანატომია : ნაწლავის ლორწოვანა გარსები შეშუპებულია, ჰიპერემიული, სისხლჩაქცევები, ღვიძლში შეგუბებითი ცვლილებები, წვრილ ნაწლავებში ჭიები.

დიაგნოზი : კოპროლოგიური გამოკვლევა, კლინიკა, პათანატომია.

მკურნალობა, პრევენცია : სადეჰელმინთიზაციო საშუალებების გამოყენება: ნილვერმი, ტეტრამიზოლი, ალბენი, ივერმექტინი, პიპერაზინი, პრაზივერი და სხვა პრეპარატები. მთავარია ვეტ,პროფილაქტიკური ღონისძიებების მკაცრად გატარება, გალიური შენახვის პირობებში დაინვაზირება მინიმუმამდეა შემცირებული.

48. უმარტივესი პარაზიტები, გადაეცემა სისხლის გზით.

მათგან აღსანიშნავია :

ა) ტოქსოპლაზმა

ბ) ჰემოპროტეუსი

გ) ლეიკოციტოზოა

დ) პლაზმოდიუმი

ე) ტრიპანოზომები

ამთვისებელი : ქათამი, ინდაური, მწყერი, მტრედი, გარეული ფრინველი, თუთიყუში.

კლინიკა : ძირითადათ უსიმპტომოდ მიმდინარეობს, უეცარი სიკვდილი, სუსტი რესპირატორული გამოვლინება, კოჭლობა, ფაღარათი, ანორექსია, ანემია.

პათანატომია : სუსტად გამოხატული: ენტერიტი, ანემიურობა, ზედა სასუნთქი გზების კატარი.

დიაგნოზი ისმება ლაბორატორიულად.

მკურნალობა : არაეფექტურია. გამოიყენება: კლოპიდოლი - საკვებში.

პრევენცია : არ დაუშვათ შინაური ფრინველის კონტაქტი გარეულ ფრინველთან და მტრედებთან.

.49. საჭმლის მომნელებელი ტრაქტის პროტოზოალური დაავადებები.

გამომწვევი: პროტოზოა

მათგან აღსანიშნავია:

ა) კოკციდიოზი

ამთვისებელი : ქათამი, ინდაური, წყალში მცურავი ფრინველი.

კლინიკა : ენტერიტი, დიარეა, სისხლიანი განავალი, ბუმბულის აბურძგვნა, ანემია, სისუსტე,, ძილიანობა, ზრდასრულში - კვერცხდება ეცემა.

პათანატომია : დაზიანებულია ნაწლავები, სავსეა სისხლით, მეტად-ბრმა ნაწლავში. ბატში-თირკმელი.

სამკურნალოდ და პრევენციისთვის: ამპროლიუმი, სულფადიმეტოქსინი, ნორსულფაზოლ ნატრი, ბაიტრილი, კოკციდიოვიტი, ბაიკოკსი და სხვა კოქციდიოსტატიკები, ვიტამინი A და K.

ასევე გვხვდება მთელი რიგი პროტოზოული დაავადებები, როგორიცაა :

ბ) ჰექსამიტიაზი.

გ) ჰისტომონიაზი (ენტეროჰეპატიტი). ეფექტურია მეტრონიდაზოლი.

დ) ტრიქომონიაზი.(მტრედი, მიმინო), მკურნალობა არა.

ე) კრიპტოსპორიდიოზი

ვ) საკრასპორიდია (ქათამი, ინდაური, მწყერი)

კლინიკა : რესპირატორული და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სიმპტომები.

პათანატომია: სუსტი ენტერიტი, ნაწლავებში ნეკროზული კერები.

დიაგნოზი: ფეკალის ანალიზით, კლინიკითა და პათანატომიით.

მკურნალობა: კოკციდიოსტატიკების გამოყენება.

პრევენცია: ვეტ,ღონისძიებების , სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვა. კოკციდიოსტატიკების პრევენციული და სამკურნალო მიზნით გამოყენება.

II. არაგადემდები დაავადებები.

3) ვიტამინების ნაკლებობა:(ძირითადი ავიტამინოზები).

50. "A"-ვიტამინის ნაკლებობა

ავადდება: ყველა სახეობის ფრინველი, უმეტესად ახალგაზრდა

კლინიკა : ზრდაში ჩამორჩენა, მოთენთილობა, ატაქსია, ანორექსია, ბიბილო და სავარცხელი გაუფერულებული, თვალი და კონიუქტივა დაზიანებული, ქუთუთო წებოვანი, ოკულარული გამონადენი (თეთრი ხაჭოსებრი), ხახაში, საყლაპავ მილში, პირის ღრუში ნადებები.

პათანატომია : დაზიანებები: პირი, თვალი, ხახა, ნაწლავებში.

პრევენცია, მკურნალობა : *გაბალანსებული კვება. საკვებს უნდა დაემატოს: იონჯა, ახალი სიმინდი, თევზის ზეთი, ასევე დამატებით „A" ვიტამინის მიცემა 2-4-ჯერ მეტი დოზით, 2 კვირის განმავლობაში.*

51. "E"-ვიტამინის ნაკლებობა.

ავადდება : ქათამი, ინდაური, უმეტესად ახალგაზრდა ასაკის.

კლინიკა : "E"-ვიტამინის ნაკლებობას ხელს უწყობს საკვებში ჭარბი ამჟავებული თევზის ქონის, სოიოს ზეთის გამოყენება. შედეგად ვითარდება : ენცეფალომალაცია (ნერვული ქათმის

სინდრომი),ექსუდაციური დიათეზი, კუნთების დისტროფია, ატაქსია, უკან გადავარდნა, გვერდზე წოლა, გაშლილი ფეხებით, მოხრილი თითებით, ფრინველი მაინც იკვებება,

დიაგნოზისთვის საჭიროა კლინიკასთან ერთად საკვების ანალიზი.

მკურნალობისა და პრევენციის *მიზნით: E ვიტამინი და სინთეტიკური ანტიოქსიდანტები, სელენიუმი, გოგირდის შემცველი ამინომჟავები, ცისტინი. არ შეიძლება გამზადებული საკვების დიდი ხნით შენახვა.*

52. რახიტი („D“$_3$-ვიტამინის ნაკლებობა).

გამომწვევი : “D“$_3$-ვიტამინის და ფოსფორის ნაკლებობა.

ამთვისებელი : ქათამი, ინდაური. მეტად ახალგაზრდა ასაკის.

კლინიკა : კოჭლობა, გვერდზე წოლა,ზრდაში ჩამორჩენა, ხშირად ჩამჯდარია, კუთხეში იყუჟება.

პათანატომია : ძვლები, ნისკარტი - რბილია, ბუმბული არეული.

საჭიროა საკვების ანალიზი.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული კვება. „D”$_3$-ვიტამინის მიცემა სამჯერ მეტი დოზით, 2-3 კვირა.

53. “H”-ვიტამინის (ბიოტინის ნაკლებობა).

ავადდება : ყველა სახის ფრინველი, მეტად ინდაური, მოზარდი.

კლინიკა : დერმატიტი: პირის, თვალის ირგვლივ, ფეხის გულის სკდომა, პეროზისი, ემბრიონი სუსტი, ჩეკვა დაბალი.

პათანატომია : ღვიძლისა და თირკმლის ცხიმოვანი გადაგვარება(განსაკუთრებით ბროილერი),ზრდაში ჩამორჩენა, ემბრიონის ნისკარტი - თუთიყუშისებრი.

მკურნალობა და პრევენცია *: გაბალანსებული კვება. აუცილებელია ბიოტინის მიცემა წყალთან ერთად.*

54. “B”$_2$ ვიტამინის (რიბოფლავინის) ნაკლებობა.

ავადდება : ყველა სახის ფრინველი. უმეტესად ახალგაზრდა ასაკის.

კლინიკა : ფეხების მოხრა რკალისებურად, თითების პარალიჩი, ერთ ან ორთავე ფეხზე. კვერცხდება იკლებს, ჩეკვა დაბალი.

პათანატომია : კიდური მოხრილი, ფეხის კუნთების ატროფია,ზრდაში ჩამორჩენა, დიარეა, ღვიძლი და თირკმელი გაცხიმოვნებული.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული კვება , საკვებში ან წყალში რიბოფლავინის დამატება სხვა ვიტამინებთან ერთად.

55. „K”-ვიტამინის ნაკლებობა. იგი ამაღლებს სისხლის შედედების უნარს-ღვიძლში (პროთრომბინის წარმოქმნის ფუნქციას.)

ავადდება : ყველა სახეობის ფრინველი, განსაკუთრებით მგრძნობიარეა ინდაური, ხშირად მოზარდი. **კლინიკა** : ზრდაში ჩამორჩენა, ანემია, სისხლჩაქცევები კანზე.

პათანატომია : ანემია, შეუდედებელი სისხლი მუცლის ღრუში.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული კვება. K-ვიტამინის დამატება,ასევე თევზისა და ბალახის ფქვილის მიცემა(საკვების 5-10 პროცენტი.).

56. ცხიმიანი ღვიძლის ჰემორაგიული სინდრომი.

დაავადებას ხელს უწყობს : მაღალკალორიული საკვები, გაუბალანსებელი კვება, ვიტამინების ნაკლებობა.

ხშირია გალიური შენახვისას.

კლინიკა : ეზღუდება მოძრაობა, ანემიურია, კვერცხდება იკლებს, უცაბედი დაცემა.

პათანატომია : ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარება, მუცლის ღრუში სისხლგროვები, ღვიძლი გაგლეჯილია.

პრევენცია, მკურნალობა : გაბალანსებული კვება, ვიტამინების დამატება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, მიკროკლიმატის მოწესრიგება.

ზ) რეპროდუქციული დარღვევები.

57. საკვერცხესა და კვერცხსავლის დაზიანებები:

-კვერცხსავლის ნეოპლაზმა.

-სალპინგიტი,

-ბუშტისებური კვერცხსავალი,

-ტერმინალური კვერცხსავლის ამოვარდნა.

ხელის შემწყობი ფაქტორები : სტრესები, მოწამვლები, ქრონიკული ინფექციები: მიკოპლაზმოზი, სალმონელოზი, კოლიბაცილოზი,კ ვერცხსავალში ჯირკვლოვანი უჯრედებიდან სითხის ჭარბი გამოყოფა. მეტად ზრდასრული ავადდება, ხშირია ადრე გაზაფხულზე.

კლინიკა : დასუსტებულია, თუმცა სტრესულ მდგომარეობაშია, ხშირია ყვითრისმიერი პერიტონიტი,

პათანატომია : კვერცხსავლისა და საკვერცხის ატროფია, ანთება, კისტები, კისტა ხშირია ასევე მარჯვენა

კვერცხსავლის(რუდიმენტის), გაძნელებული კვერცხდება, კლოაციტი. ყვითრისმიერი პერიტონიტი.

მკურნალობა, პრევენცია *: გაბალანსებული კვება, მიკროკლიმატის და სანიტარული პირობების გაუმჯობესება, ვიტამინების (A, E) დამატება, Ca-სა და P-ის დაბალანსება. საჭიროებისას ანტიბიოტიკები და უროტროპინი.*

58. გაძნელებული კვერცხდება

მიზეზი : კვერცხსავლის კუნთის სისუსტე, არასწორი კვება, ვიტამინების ნაკლებობა, ჰორმონალური დარღვევები, სანიტარული პირობების დარღვევა, კლოაციტი, მიკროორგანიზმებით დაავადება. ხშირია კვერცხდების დაწყების პერიოდში და ხანდაზმულ ასაკში.

კლინიკა : ჯერ მოუსვენარია, შემდეგ დიდხანს ზის, სუნთქვა გახშირებული, მუცლის პალპაციით კვერცხი შეიგრძნობა, რაც 3-4 დღე გრძელდება, შემდეგ ბიბილოს ციანოზი, არ ჭამს, სუსტდება.

პათანატომია : კვერცხსავალში -კვერცხი, შეწებებული ლორწოვან გარსზე, ანთება, კლოაციტი.

მკურნალობა , პრევენცია *: გაბალანსებული კვება, საკვებში „A"ვიტამინის დამატება, Ca-სა და P-ის დაბალანსება, ჰორმონების რეგულირება, იოდის პრეპარატების გამოყენება, სინათლის რეჟიმის მოწესრიგება, სანიტარული პირობების გაუმჯობესება. ინდივიდუალურად შეიძლება კლოაკაში ზეთოვანი პრეპარატების გამოყენება.*

თ) ურინალური დარღვევები.

59. უროლითიაზი, ნეფრიტი, ნეფროზი, შარდმჟავა დიათეზი, შარდკენჭოვანი დაავადება, პადაგრა.

მიზეზები : ჭარბი კალციუმი სისხლში, მიკოტოქსინები,"A"-ვიტამინის ნაკლებობა, წყალში მაღალი ქლორიდები, Ca-სა და P-ის თანაფარდობის დარღვევა, ჭარბი პროტეინი საკვებში(განსაკუთრებით ცხოველური), მჟავიანობის მომატება სისხლში(PH), ნეფროტროპული შტამის ინფექციური ბრონქიტის ვირუსი, ერთდღიანი წიწილების გადაცივება ან ჩახურება, სასმელი წყლის დაგვიანება ან მიკლება, არასწორი ტრანსპორტირება.

კლინიკა : ახალგაზრდებში ვლინდება შარდმჟავა დიათეზის სახით,ზრდასრულში - პადაგრის სახით. დაცემა მზარდი, კვერცხდება იკლებს.

პათანატომია : თირკმლებში ურატებით დაცობილია შარდის გამომყოფი მილაკები, თირკმლები ნაწილობრივ ატროფირებულია, სახსრებში სეროზული სითხე, მოქმედი თირკმელი ჰიპერტროფულია, გვხვდება პადაგრის ვისცერალური ფორმაც, ნეფროზო ნეფრიტი, თირკმელში ურატები(შეიძლება ღვიძლზე, გულზე-ვისცერალური ფორმა), ასევე კლოაკაში.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული კვება, კალციუმისა და ფოსფორის თანაფარდობის დაცვა,PH-ის რეგულირება სისხლში, A-ვიტამინის დამატება საკვებში, წყლის ანალიზი, ელექტროლიტების ბალანსირება, მიკოტოქსინებზე საკვების ანალიზი, სამკურნალოდ კარგია უროტროპინი სასმელ წყალთან ერთად. ასევე ჰეპავექსი. გოუტექსი.

60. კლოაციტი.

მიზეზი : ერთის მხრივ-მიკროფლორით გამოწვეული(ენტერობაქტერიები,სტაფილოკოკები,) და მეორეს მხრივ არა მიკრობული. ასეთებია: ცხოველური პროტეინის სიჭარბე, ვიტამინების ნაკლებობა, კვერცხსავლის ანთებები, სიცივე,მაღალი ტენიანობა, ცუდი ვენტილაცია, მავნე აირები, ზოგადათ ცუდი მიკროკლიმატი.

კლინიკა : ხშირია ქათმებში, მეტად კვერცხდების დაწყებისას, ასევე ზრდასრულში.

კლოაკა ჰიპერემიულია, ბზარები, შეწებებული, შარდმჟავა მარილები ჭარბად, გაუვალობა, შეიძლება დიარეა.

პათანატომია : კლოაკის ლორწოვანა გარსის ანთება, დაზიანება ეროზიების სახით, შარდმჟავა მარილები ჭარბად, შეწებებული ნაპირები, კვერცხდების გაძნელება.

მკურნალობა, პრევენცია : *გაბალანსებული კვება, ვიტამინები, წვნიანი საკვები, მოციონი, მინერალები, პადაგრის მკურნალობა. აუცილებელია: მიკროკლიმატის , სანიტარული პირობების გაუმჯობესება, პროცესის გამწვავებისას - ანტიბიოტიკები.*

ი) ქათმის კარდიოვასკულარული დაავადებები.

61. ასციტი (ფილტვის მაღალი წნევის სინდრომი). -ფრინველის მოულოდნელი სიკვდილის სინდრომი მიზეზი:: სტრესები.

ავადდება : ქათამი, ინდაური, უმეტესად ბროილერში. ძირითადათ ახალგაზრდებში, არის ზრდასრულშიც. **კლინიკა :** ბუმბული უბნებათ შეჯგუფებული, მუცელი გადიდებული, უმოძრაოდაა, რესპირატორული
სირთულეები, ციანოზი, სისუსტე, ფრთების ქნევა, კონვულსია, ზურგზე წოლა.
პათანატომია : ძირითადათ - ასციტი. ფილტვები შეშუპებული, კანქვეშა ვარიკოზი. ღვიძლი, ელენთა გადიდებული, სისხლჩაქცევები, სისხლი მუცლის ღრუში.
მკურნალობა, პრევენცია *: მოვლა შენახვის პირობების გაუმჯობესება, სტრესის არიდება, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, მეტი ჟანგბადი, სითბო. მკურნალობა - არა.*

62. მონელების დარღვევა ქათმებში.

ა) ჩამოკიდებული ჩიჩახვი - პროვენტრიკულარული გაფართოება.

მიზეზი : გაფუჭებული საკვები, წვრილად დაფქვილი საკვების ხანგრძლივი მიცემა. მეტად ინდაურსა და ბროილერში.

კლინიკა : ჩიჩახვი გადიდებული, არ ჭამს, სუსტდება.

პათანატომია : ლეში ანემიურია, სიგამხდრე, ჩიჩახვი გადავსებულია მშრალი საკვებით.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული კვება და დროული დაწყურება, შესაბამისი ფრაქციის საკვები.

ბ) დიზბაქტერიოზი : ნაწლავის მიკროფლორის დისბალანსი.

ამთვისებელი : ყველა სახის ფრინველი. ყველა ასაკის.

კლინიკა : ენტერიტი, დიარეა, გაძლიერებული წყურვილი, ქვეშსაფენი სველია, მადა დაქვეითებული. წვრილი ნაწლავები
გაფართოებულია,გაბერილია. გაბალანსებული კვება,მიკროკლიმატი, ძლიერი ენტერიტისას-ჯერ ანტიბიოტიკები,შემდეგ-ჰეპავექსი,ოლიგოფოსი.

პათანატომია : წვრილი ნაწლავები გაფართოებულია, გაბერილია.

პრევენცია, მკურნალობა: გაბალანსებული კვება, მიკროკლიმატის დაცვა, ძლიერი ენტერიტისას ჯერ ანტიბიოტიკები, შემდეგ ჰეპავექსი, ოლიგოფოსი.

გ) პოლიცისტური ენტერიტი (ტანმორჩილება).

მიზეზი : გაუბალანსებელი კვება, გამოზრდის რეჟიმის დარღვევა, ხშირია ზამთარი - გაზაფხულის პერიოდში.

ამთვისებელი : ქათამი, მეტად მოზარდი, განსაკუთრებით
ბროილერი.

კლინიკა : აბუზულია, ცივა, დიარეა, ქვეშსაფენი სველია, მადა დაქვეითებული, ზრდაში ჩამორჩენა.

პათანატომია : ცისტური ენტერიტი, ღვიძლი გადიდებული, ნაღვლის ბუშტი გადავსებული.

მკურნალობა, პრევენცია : მოვლა შენახვის, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, გაბალანსებული კვება.

დ) ნეკროტული ჰემორაგიული ჰეპატიტი.

მიზეზი : გაუბალანსებელი კვება, მიკროკლიმატის დარღვევა, ცუდი სანიტარული პირობები.

ამთვისებელი : ქათამი. ხშირია 40 კვირის ასაკში.

კლინიკა : კლინიკური ნიშნის გარეშე, სიკვდილიანობა მატულობს, კვერცხდება იკლებს.

პათანატომია : ჰემატომეგალია, ღვიძლი გადიდებული, მოწითალო მოყვითალო ფერის წინწკლებით, საკვერცხე უმოქმედო, მოუმწიფებელი ფოლიკულები.

მკურნალობა-არა.

პრევენცია : გაბალანსებული კვება, მაღალი სანიტარულ ჰიგიენური პირობები.

63. საჭმლის მონელების დარღვევა ინდაურებში.

ა) ინდაურის წიწილში ენტერიტის კომპლექსი.

გამომწვევი : ვირუსი და ბაქტერია.

ამთვისებელი : ინდაური,ახალგაზრდა ასაკის (6 კვირამდე).

კლინიკა :ნაწლავებში ირღვევა საკვების შეწოვა, ვითარდება დიარეა, ზრდაში ჩამორჩენა.

პათანატომია : კახექსია, დეჰიდრატაცია, ნაწლავში ფეკალი თხელია, გაბერილია.

***მკურნალობა, პრევენცია** : გაბალანსებული კვება, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, სითბო, სამკურნალოდ ჯერ ანტიბიოტიკები, შემდეგ ჰეპავექსი, ოლიგოფოსი, ვიტამინები. საჭიროა სადედე გუნდის სიტუაციის გარკვევა ამ დაავადებაზე.*

ბ) ინდაურის კორონავირუსი.

გამომწვევი : ვირუსი და ბაქტერია. ავადდება სხვადასხვა ასაკში. გვევლინება რაქიტის ან ენცეფალომალაციის როგორც მეორადი დაავადება, ენტერიტი.

პათანატომია : კახექსია, ნაწლავები გაბერილოია, ენტერიტი.

მკურნალობა, პრევენცია : ვეტ.ღონისძიებების მკაცრი დაცვა, გაბალანსებული კვება, სადედე გუნდის სიტუაციის გარკვევა.

გ) ინდაურის წიწილის ენტერიტით სიკვდილის სინდრომი.

მიზეზი : უცნობია. ავადდება ახალგაზრდა ასაკში (1-4 კვირის).

კლინიკა : ჰიპერაქტიურობა, ხმაური, მადა ეცემა, ცივა, დიარეა, დაცემა მაღალია.

პათანატომია : კახექსია, ენტერიტი.

მკურნალობა, პრევენცია : ვეტღონისძიებების დაცვა, გაბალანსებული კვება, ჰიგიენური პირობების დაცვა.

კ) კუნთებისა და ჩონჩხის ზოგიერთი დაავადება.

64 . ხშირია ბროილერსა და ინდაურში.

კლინიკურად ფრინველს შეიძლება განუვითარდეს:

- კუთხოვანი ძვლის დეფორმაცია, ქონდროდისტროფია (ახალგაზრდებში) ფეხის პოდოდერმატიტი,

ღრმა პექტორული მიოპათია (მძიმე წონიან მეხორცულ ქათმებში), ბარძაყის თავის ნეკროზი და ტრავმა,

ოსტეოპოროზი, ოსტეომიელიტი, პეროზი (მყესის დაზიანება), ფეხის კანკალი, მოხრილი ფეხები,

სპონდილოლისტოზი (პარეზი, წვივზე ზის - უფრო ბროილერში), მყესის გაგლეჯა (ტენდოსინოვიტი),

დიბიალური დისქონდროპლაზია (მტვრევადი ძვალი, ქლორიდებისა და ფოსფორის სიჭარბის დროს) და სხვა.

***პრევენცია** : ჯანმრთელი სადედე გუნდის შერჩევა, კარგი მოვლა შენახვის პირობები, გაბალანსებული კვება, ვეტ. ღონისძიებების დაცვა.*

ლ) გარეგანი გარსის (კანის, ლორწოვანა გარსის) დაავადებები.

65. კერატოკონიუქტივიტი (ამიაკით წვა)

მიზეზი : ამონიაკი, ცუდი ვენტილიაციის გამო ბაქტერიების მიერ ურის მჟავას დაშლით წარმოშობილი ნივთიერებაა (გაზის სახით).

ავადდება : ყველა სახის ფრინველი, ყველა ასაკში.

კლინიკა : კერატიტი, კონიუქტივიტი, სიბრმავე.

პათანატომია : გარეგანი ლორწოვანი გარსების ჰიპერემია, ანთებადი ექსუდატის გამონადენი.

***პრევენცია, მკურნალობა** : ვარეგულიროთ ვენტილიაცია,სინესტე,მეტი სუფთა ჰაერი, გაბალანსებული კვება.*

ს

ა) ქერქიანი ბარძაყის სინდრომი.

ხშირია ბროილერში

კლინიკა : ბარძაყის ზედაპირი აქერცლილია, დაწყლულებულია.

პრევენცია : დავიცვათ დასმის ნორმა, მიკროკლიმატი, კვებისა და შენახვის პირობები.

ბ) სტერნალური ბურსიტი.

კლინიკა : მკერდის არეში ბუშტი, სავსეა სითხით, რომელიც იზრდება, შეიძლება მეორადი ინფექციები.

პათანატომია : დაზიანებულია კილის ძვლის ვენტრალური წილი.

პრევენცია : დავიცვათ მოვლა შენახვის პირობები.

გ) ქსანტომატოზი.

კლინიკა : კანში ქოლესტეროლის დაგროვება, თაფლისფერი სითხით, შემდეგ მყარდება.

პრევენცია : სისხლში PH -ის რეგულირება. ჰიდროკარბონატების ზომიერად გამოყენება.

66. ბუმბულის პათოლოგიური ცვენა.

მიზეზი : ცილოვანი შიმშილი,ცხიმების სიჭარბე, Ca, P, მაკრო და მიკროელემენტების უკმარისობა, კანის პარაზიტები, ცუდი მიკროკლიმატი.

ავადდება : ძირითადათ ზრდასრული.

კლინიკა : ბუმბული ცვივა ზურგზე, კუდის ირგვლივ, კისერზე, მკერდზე, თავზე, მუცელზე. კანი გაწითლებულია, კვერცხმდებლობა იკლებს, სუსტდება, სიგამხდრე, შეიძლება კანიბალიზმი.

პათანატომია : კანის დაზიანება.

მკურნალობა და პრევენცია *: ზოოჰიგიენური პირობების, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, გაბალანსებული კვება, მეტი შვრია, ჩლიქისა და ბუმბულის გადამუშავების პროდუქტები, მათში ბევრია ცისტინი, რაც აუცილებელია ახალი ბუმბულის ზრდისთვის, ასევე საკვებში გოგირდის ფხვნილი (ფრთაზე 0,2-0,3გრ.), წყალში კალიუმის იოდატი, გოგირდმჟავა მანგანუმი და სხვა.*

მ) ქცევის დარღვევები.

67. კანიბალიზმი, კორტნა

მიზეზი : გაუბალანსებელი კვება, უჯრედანას ნაკლებობა , მჭიდრო დასმა, ცუდი მიკროკლიმატი, მაღალი განათებულობა.

ავადდება : ყველა სახის ფრინველი, ყველა ასაკის.

კლინიკა : კორტნა სხვადასხვა ადგილზე.

პათანატომია: კანისა და ლორწოვანა გარსის მთლიანობის დარღვევა.

მკურნალობა, პრევენცია: *გაბალანსებული კვება, სინათლის რეჟიმის დაცვა, ნისკარტის მოწვა, მიკროკლიმატის გაუმჯობესება.*

68. ისტერია

მიზეზი : სტრესი, გაუბალანსებული კვება, ცუდი მიკროკლიმატი.

ავადდება : ყველა ასაკი, განსაკუთრებით ბროილერში.

კლინიკა : ჰიპერაქტიურობა.

პათანატომია : განსაკუთრებული დამახასიათებელი ცვლილება-არა.

მკურნალობა, პრევენცია : *გაბალანსებული კვება,ტრიფტოფანის ნორმირებული მიცემა,(დაავადების საწყის ეტაპზე კი ნორმის ზევით).*

ნ) მენეჯმენტის დარღვევებით გამოწვეული დაავადებები.

69. დეჰიდრაცია.

მიზეზი : საკვებისა და წყლის მიუღებლობა.

ამთვისებელი : ყველა სახის ფრინველი. მეტად პირველი კვირა.

კლინიკა : ხმაურობს, კუჭი ცარიელია, სუსტია.

პათანატომია : კიდურები თხელი, უფერო. კუჭი ცარიელი, ნაწლავები და კუტიკულა *მშრალი.*

მკურნალობა, პრევენცია *: დავიცვათ დასმის ნორმა, გარემო ტემპერატურა, ჰაერცვლა, განათება, საკვებისა და წყლის მისაწვდომობა.*

70. ჰიპოგლიკემია.

გამომწვევი : ვირუსი. აჩერებს პანკრიასის გლუკაგონის სეკრეციას.

ამთვისებელი : ძირითადათ ბროილერი 7-18 დღის ასაკში.

კლინიკა : წვანან მკერდზე,კოორდინაცია დარღვეული აქვთ,ზოგჯერ სიბრმავე, აღგზნებულია, გლუკოზის დონის მკვეთრად შემცირებისას კი კვდება.

პათანატომია : ლეში კახექსიურია, განსაკუთრებული ნიშნები - არა.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული კვება,მიკროკლიმატის გაუმჯობესება,დღის რეჟიმის დაცვა, დაძინება აუცილებელია(მელატონინის გამოყოფა სიბნელეში მატულობს, ორგანიზმი ისვენებს),გლუკოზა რეგულირდება.

71. სიცხისაგან გამოწვეული სტრესი და ჰიპერთერმია.

მიზეზი : საოფლე ჯირკვლების არ ქონის გამო ვერ უძლებს მაღალ ტემპერატურას,მზის პირდაპირ სხივებს, არასწორ ტრანსპორტირებას.

ამთვისებელი : ყველა სახეობის ფრინველი. ყველა ასაკის.

კლინიკა : გახშირებული სუნთქვა,ვითარდება რესპირატორული აციდოზი, კანკალი, პარალიჩი, მოუსვენროება, მოძრაობს წინ უაზროდ, პირღიაა, ეტანება წყალს, მაღალი PH ამცირებს პლაზმის იონიზებულ კალციუმს,ზაფხულში კვერცხის ნაჭუჭი თხელდება, ხშირად ვარდება კომაში.

პათანატომია : მკერდის კუნთები გავს მოხარშულს. თავის ტვინის სისხლძარღვები გადავსებულია სისხლით, შეშუპებულია, ლეში ნელა შეშდება, ფილტვი შეშუპებულია, ნაწლავები გაბერილი.

მკურნალობა , პრევენცია *: მიკროკლიმატის მოწესრიგება, ტემპერატურის რეგულირება, მეტი ჰაერი და გრილი სასმელი წყალი, გაბალანსებული კვება.*

72. სხეულის გადაცივება

მიზეზი : გათბობის არ ქონა, არასწორი ტრანსპორტირება

ამთვისებელი : ყველა სახეობის, ყველა ასაკის, მეტად ახალგაზრდა, განსაკუთრებით სიცოცხლის პირველ დღეებში (თავის ტვინში თბორეგულაციის ცენტრის ჩართვამდე).

კლინიკა : ფრთები ჩამოშვებული, მძინარე მდგომარეობაშია, კანკალებს, წვება გვერდზე, სხეულის ტემპერატურა ეცემა 2-3 გრადუსით, ხშირად ვარდება კომატოზურ მდგომარეობაში, სუნთქვის სიხშირე იკლებს, ვითარდება გულსისხლძარღვთა სისტემის უკმარისობა და სიკვდილი.

პათანატომია : კანი,ბიბილო,კუნთები ანემიურია,შინაგანი ორგანოები გადავსებულია სისხლით,ფილტვი და გულის კუნთები შეშუპებულია.

მკურნალობა, პრევენცია *: ნორმალური მიკროკლიმატი, ტემპერატურისა და სინესტის რეგულირება, სწორი კვება.*

73. ვაქცინაზე რეაქცია (ვაქცინაციის შემდგომი გართულება).

დაავადების პერიოდი : ვაქცინაციიდან რამოდენიმე დღეში(5-6დღ.) მოსალოდნელია გართულებები

ავადდება : ყველა სახეობა, ყველა ასაკში.

კლინიკა : თავის ქნევა, ცხვირიდან გამონადენი, ხველება, ცივათ.

პათანატომია : განსაკუთრებული ცვლილებები-არა.

პრევენცია, მკურნალობა *: ვაქცინაციის წინა 2 დღე და შემდგომ 2 დღე ეძლევა კომპლექსური ვიტამინები. ოპტიმალური პირობების შექმნა.თუ მეორადი ბაქტერიული ინფექცია განვითარდა ტარდება სათანადო მკურნალობა, აცრიდან მე-5-6 დღეზე კარგია წყალში ურიტროპინი ან ჰეპავექსი-2 დღე.*

შენიშვნა : ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მკურნალობის მიზნით სამკურნალწამლო ნივთიერებების სწორად შერჩევისა და ეფექტურად გამოყენებისათვის, ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე ვეტპრეპარატების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, აუცილებელია მათ შემომტან კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობა.

იხილეთ დანართი: მეკვერცხული ჯიშის ქათმის ვაქცინაციის ზოგადი სქემა.

„0" დღეზე, (ინკუბატორში) იცრება მარეკის საწ-ოდ, გამოიყენება ცოცხალი, მშრალი ვაქცინები:

veqtormune, SB- 1, FC-126, (კანქვეშ);

veqtormune, SB- 1, FC-126, (კანქვეშ); **(ინკუბატორებში)** იცრება IB-სა და ND-ის საწ-ოდ, ც / მშ. ვაქცინით : MA 5+CL 30-ით, სპრეი მეთოდით (ჰოლანდიური ან ფრანგული ვაქცინები).

მე-8 დღეზე : გამბოროს საწ-ოდ, ც / მშ. ვაქცინით : D 78, E 228, cevac transmune,შტამი ვინტერფილდი 2512 დალევინებით და სხვა.

მე 14 დღეზე : IB-ის საწ-ოდ, ვარიანტ. შტამით 4 / 91-ით, ოკულარული, სპრეი, ან დალევინებით;

21-ე დღეზე : გამბოროს საწ-ოდ, იგივე ვაქცინით, დალევინებით;

28-ე დღეზე: IB-სა და ND -ის საწ-ოდ: MA 5 + CL 30 -ით, სპრეი, ოკულარული, ან დალევინებით;

37-ე დღეზე: IB -სა და ND -ის საწ-ოდ: H-120 + LA SOTA-თი, სპრეი, ოკულარული, ან დალევინებით;

65-ე დღეზე: ILT-ს(ინფექც. ლარინგოტრახეიტის) საწ-ოდ, ვაქცინით:SERVA, SAMBERG,ოკულარულად;

65-ე დღეზე: : FOX (ყვავილის) საწ-ოდ, CALNEK, M-43 ვაქცინით, ფრთაში ჩაჩხვლეტით;

65-ე დღეზე: : AE (ენცეფალომიელიტი), CUTTER, VEQTORMUNE ვაქცინით, ფრთაში ჩაჩხვლეტით;

80-ე დღეზე : IB-ის საწ-ოდ, ვარ.შტამით 4 / 91-ით, დალევინებით;

95 – 105 დღეზე: IB+ND+EDS (ინფ.ბრონქ.+ნიუკასლის+ კვერცხდების შემცირების სინდრომის) საწ-ოდ, ინაქტივირებული, სამვალენტიანი ვაქცინით, კუნთში ინექციით.

შენიშვნა: *მომდევნო რევაქცინაცია ტარდება ინფექციური ბრონქიტისა და ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგოდ სისხლში ტიტრის განსაზღვრის შესაბამისად, ან სამვალენტიანი ვაქცინით აცრიდან 6 თვეში და შემდეგ ყოველ 3 თვეში, დალევინებით, MA 5+ CL 30-სა და H 120+LA SOTA-ს მონაცვლეობით.*

-კონკრეტული მეფრინველეობის საწარმოს ვაქცინაციის გეგმას, რეგიონის ეპიზოოტიური სიტუაციის გათვალისწინებით, ადგენს საწარმოს ვეტერინარი ექიმი.